ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 11.09. 2017 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 221-ბ.

ქ. თბილისი

რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N 206-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის მოადგილის ლევან ჯიქიას 2017 წლის 5 სექტემბრის N1/2251 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N206-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" და თანდართული დანართი N1 დამტკიცდეს ახალი რედაქციით.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტარატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2017 - 2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

ა) საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 7 ადგილი;

ბ) ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 7 ადგილი

გ) ქართული ლიტერატურის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 7 ადგილი;

დ) თარგმანმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 ადგილი.

2. *ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)*

ა) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 ადგილი;

ბ) ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 ადგილი.

3. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**

ა) კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 8 ადგილი.

4. **სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)**

ა) ფსიქოლოგია, ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 6 ადგილი.